89 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი.

გამოცემის საიუბილეო, 90-ე წელი!

89 წელი თქვენთან ერთად!



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №4 (7081) 6 თებერვალი 2023 წელი ● Facebook გაზეთი თერჯოლა

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“_2023

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სასოფლო კრებებსა და კონსულტაციებზე, რომლებიც მიმდინარე წლის 23 იანვრიდან 27 იანვრის ჩათვლით, მოქალაქეების აქტიური ჩართულობით და ორგანიზებულობით გამოირჩა, მოსახლეობამ მიიღო გადაწყვეტილება თუ რა უნდა გაკეთდეს მათ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში „სოფლის მხარდაჭერის“ 2023 წლის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი დაფინანსების მეშვეობით, რომელიც წელს თერჯოლის მუნიციპალიტეტისათვის 690 000 ლარია.

კრებებისა და კონსულტაციების ორგანიზებულად ჩატარებას პირდაპირ შეუწყო ხელი მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის მანუჩარ რობაქიძის მიერ 2023 წლის 4 იანვრის იმ ბრძანების ზედმიწევნით შესრულებამ, რომლითაც განისაზღვრა მოსახლეობასთან კრებებისა და კონსულტაციების ჩატარების წესი. ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ კარგად იმუშავეს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობასა და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილმა პირებმა—მერიის შესაბამისმა სამსახურმა და მერის წარმომადგენლებმა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში.

აღსანიშნავია, რომ მერის მოვალეობის შემსრულებელი მანუჩარ რობაქიძე, მოადგილე მირზა ქოჩიაშვილი, მერის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები დაესწრნენ პრაქტიკულად ყველა კრებასა და კონსულტაციას, ისინი თავადაც აქტიურად მონაწილეობდნენ ამ განხილვევში... პროცესში ასევე აქტიურად მონაწილეობდნენ საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი, მოადგილეები: დავით გოგბერაშვილი, ჯემალ ისაკაძე და საკრებულოს დეპუტატები...

☞2

სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია ოპერატიულად მიმდინარეობს

სტიქიამ, რომელმაც ძლიერი შტორმული ქარების სახით ოთხი დღე-ღამის განმავლობაში მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა დასავლეთ საქართველოს, კერძოდ კი იმერეთსა და გურია-სამეგრელოს, თერჯოლის მუნიციპალიტეტში 113-მდე შენობა-ნაგებობას და კერძო სახლს, მთლიანად ან ნაწილობრივ გადახადა სახურავი, დააზიანა მოსახლეობის სხვადასხვა დამხმარე სათავსოები, გარე განათების ხაზები...

ჩვენ უკვე ვწერდით იმ ღონისძიებებზე, რასაც სტრიქიის პერიოდში და მისი ჩაცხრომის შემდეგ ანხორციელებდა მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა შედეგების ოპერატიულად ლიკვიდაციისათვის.

მოსახლეობის დასახმარებლად ოპერატიული ზომების მიღებას პირდაპირ შეუწყო ხელი ქვეყნის პრემიერმინისტრის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ მუნიციპალიტეტებისათვის თანხების გამოყოფის თაობაზე სხვადასხვა საჭირო მასალების შესაძენად და მოსახლეობისათვის გადასაცემად.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში არ დარჩენილა არცერთი ოჯახი, სადაც არ მისულან მერიის წარმომადგენლები, მერიის, ასევე საკრებულოს ხემძღვანელობა.

დაზარალებული ოჯახები კმაყოფილებას გამოხატავენ ოპერატიულად გაწეული დახმარებისათვის.

განახლებული და საპილოტე რეგიონების პროგრამებით...

ქალაქ თერჯოლის ცენტრში გამვლელი უცხოც და ადგილობრივიც ადვილად ამჩნევს, რომ ქალაქში ბევრი რამ იცვლება სასიკეთოდ და ეს ყველაფერი იმ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგია, რომლებიც უკვე გავითავისეთ, მოგვწონს...

მერიის ადმინისტრაციული შენობა, საცხოვრებელი სახლების ფასადები, სრულად რეაბილიტირებული ქალაქის ცენტრალური მაგისტრალი, თავისი ღვარსადენებით და ტროტუარებით, საბავშვო ატრაქციონები...

და ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არაა. უკვე დამამთავრებელ ფაზაში გადავიდა მუნიციპალიტეტის მერიის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე სამუშაოები, რაც გაზაფხულზე დამთავრდება.

თუ რა გაკეთდა, რა კეთდება აქ, ამაზე ჩვენი გაზეთის თებერვლის თვის შემდეგ ნომერში მოგითხრობთ.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის სოციალური პროგრამები

„თერჯოლის“ წინა ნომერში, საზოგადოების მაღალი ინტერესის გათვალისწინებით, ჩვენ დავიწყებთ 2023 წლის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოციალური პროგამების გამოქვეყნება. გაზეთის ამ ნომერში კი მე-3, მე-4, მე-5, და მე-6 გვერდებზე სრულად ვაქვეყნებთ ყველა სხვა სოციალურ პროგრამას.

8 თებერვალს დავითობაა!



8 თებერვალს, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია, სრულიად საქართველო წმინდანად შერაცხული მეფის, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს აღნიშნავს. დავით აღმაშენებლის სახელს ქვეყნის გაერთიანება და აღმშენებლობა, დიდი საბრძოლო გამარჯვებები, ქვეყნის ძლიერების სიმბოლოდ ქცეული დიდგორი უკავშირდება.

ნიშანდობლივია. რომ, 1918 წლის 8 თებერვალს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, გაიხსნა კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი - ევროპული ტიპის უმაღლესი სკოლა.

კარგი პრაქტიკა, რომელიც უკეთეს შედეგებზეა ორიენტირებული...

30 იანვრის ტრადიციული სამუშაო შეხვედრა-თათბირი, რომელიც მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა მანუჩარ რობაქიძემ, მოადგილე მირზა ქოჩიაშვილთან ერთად, მერის წარმომადგენლებთან, ა(ა)იპ-ის და მერიის სამსახურის ხელმძღვანელებთან გამართა, მორიგი ახალი ფორმით დაიწყო. მერის მოვალეობის შემსრულებელმა პირველი სიტყვა მის თანაშემწეს მაკა ასათიანს მისცა, რომელსაც სთხოვა, რომ თათბირის მონაწილეებისათვის დაწვრილებით გაეცნო ინფორმაცია თუ როგორ სრულდება მერიის ხელმძღვანელების მიერ გაცემული სხვადასხვა დავალებები, რომლებიც მეტწილად ოპერატიულ რეჟიმში უნდა მოგვარებულიყო. თათბირზე წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავდა პერიოდს გასული წლის 30 ოქტომბრიდან დღემდე.

ამ პერიოდში სულ გაცემული იყო 41 დავალება. ყველა ეს დავალება თათბირზე სათითაოდ იქნა განხილული შემსრულებლების მონაწილეობით. უნდა ითქვას, რომ მათგან უკვე შესრულებულია ნახევარზე მეტი და რამდენიმეც უახლოეს დროში დასრულდება. თათბირზე არსებულ რეალობათა გათვალისწინებით, მოხდა შესრულების ვადების კორექტირება ცალკეულ დავალებაზე... გაიცა ახალი მითითებები.

ეჭვგარეშეა, რომ მუშაობის ასეთი ფორმა, როგორც პრაქტიკა აჩვენებს უეჭველად კიდევ უფრო უკეთესი შედეგების მომტანი გახდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის.

30 იანვრის თათბირზე ყურადღება გამახვილდა მიმდინარე წელს „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებზე და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს შესაბამისი რეკომენდაციები მიეცა.

პროგრამის ფარგლებში, კრებებზე მოსახლეობა შეთანხმდა სოფლის საჭიროებებსა და პრიორიტეტულ საკითხებზე. საერთო კრებები უკვე დასრულდა, მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ოქმს, მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური განიხილავს და დასამტკიცებლად საკრებულოს წარუდგენს, რის შემდეგაც დაიწყება სოფლებში პროექტების განხორციელებისათვის საჭირო სხვა პროცესები.

თათბირზე, ხელმძღვანელმა პირებმა ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებულ შენობებზე მიმდინარე აღდგენითი სამუშაოების შესახებ მიიღეს დეტალური ინფორმაცია.

დაზიანებული სახურავების დემონტაჟისა და მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ, მოსახლეობას საჭირო მასალები ადგილზე გადაეცათ. მიმდინარე პროცესებში მერიის სამუშაო ჯგუფი აქტიურადაა ჩართული, დაგეგმილია შესაბამისი ღონისძიებები, რომლებიც პრობლემების მოგვარებას უზრუნველყოფენ.

სამუშაო შეხვედრაზე, ინფორმაციების მოსმენისა და შეჯამების შემდეგ, თითოეული სამსახურისა და ა(ა)იპის ხელმძღვანელს, მომავალი კვირის განმავლობაში სფეროების მიხედვით, შესრულებული სამუშაოს ანგარიშის წარდგენა დაევალა.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“_2023

1☜

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში თერჯოლის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, მოსახლეობასთან შეხვედრები გოდოგნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულიდან დაიწყო.

შეხვედრებს მერის მოვალეობის შემსრულებელი, მანუჩარ რობაქიძე, მერის მოადგილე, მირზა ქოჩიაშვილი, გოდოგნის მაჟორიტარ დეპუტატთან, გრიგოლ გიორგაძესთან, საკრებულოს წევრებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

გოდოგნისა და ნაგარევის მოსახლეობამ ძირითადი აქცენტი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე გააკეთა. ადგილობრივებისათვის მნიშვნელოვანია ქვაშავისა და გორგოძეების უბანში ბეტონის საფარის, სანიაღვრე არხის მოწყობა, ნაგარევის სკოლის მიმდებარედ, პარკისათვის ძელ-სკამების შეძენა; მთავარანგელოზის ტაძრიდან გარე განათების დამონტაჟება; ჭალასთავში, ხუჯაძეების უბანში ბეტონის საფარის, ასევე ბროლისქედში მინი სტადიონის მოწყობა.

აღნიშნული სამუშაოების განსახორციელებლად სახელმწიფოს მიერ, „სოფლის მხარდაჭირს პროგრამის“ ფარგლებში ამ ტერიტორიულ ერთეულში საერთო ჯამში 54 000 ლარია გამოყოფილი.

დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, დასახლებების ბოლო საერთო კრებები და კონსულტაციები ძევრის, ჩხარისა და გოგნის ადმინისტრაციულ ერთეულებში გაიმართა.

შეხვედრებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი, მანუჩარ რობაქიძე, მერის მოადგილესთან, მირზა ქოჩიაშვილთან და საკრებულოს თავმჯდომარესთან გიორგი ბარათაშვილთან ერთად დაესწრო.

ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა კრებაზე პრიორიტეტულ საკითხებზე იმსჯელეს და განსახორციელებელ პროექტებზე ერთად შეთანხმდნენ.

ძევრის ადმინისტრაციულ ერთეულში ხმათა უმრავლესობით საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება გადაწყდა;

გოგნის ადმინისტრაციულ ერთეულში პრიორიტეტად მინი სტადიონის მოწყობა დასახელდა;

ჩხარის ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით არსებული კლუბის შენობის სახურავისა და გარე ფასადის რეაბილიტაცია მოხდება.

სამუშაო შეხვედრებს ძევრის, ჩხარისა და გოგნის მაჟორიტარი დეპუტატი, მანუჩარ ფანჩულიძე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

***

როგორც გასული კვირის ორშაბათის თათბირზე მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა განაცხადა ამჟამად მნიშველოვანია, რომ დროულად დამუშავდეს წარმოდგენილი წინადადებები, ისინი მოვიდეს საპროექტო ფორმატში, განსაზღვროს სავარაუდო ღირებულებები და შემდეგ განსახილველად და დასამტკიცებლად წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს. „სავარაუდოდ, ყველაფერი ეს თებერვლის 10 რიცხვამდე უნდა შევძლოთ“—თქვა მანუჩარ რობაქიძემ და მადლობა გადაუხადა ყველა იმ პიროვნებას, ვინც ჩართული იყო მოსახლეობის კრებების და მათთან კონსულტაციების ჩატარების ორგანიზების პროცესში.

P.S. ტრადიციულად, „თერჯოლა“ სრულად გამოაქვეყნებს „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით მუნიციპალიტეტში მიმდინარე წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხას, შესრულების ვადების მითითებით, რომ საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონდეს თვალი ადევნონ მათი შესრულების მიმდინარეობას.

დიმიტრი აბესაძე

98 წლის ასაკში გარდაიცვალა მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი დიმიტრი აბესაძე, რომლის ცხოვრება, ხალხისა და სამშობლოს სიყვარული მისაბაძი მაგალითია ყველასათვის.

იგი ათასობით თერჯოლელ ვეტერანთა შორის უკანასკნელია ვინც დღემდე იყო ჩვენთან ერთად.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მუნიციპალიტეტის მერია და გაზეთი „თერჯოლა“ მწუხარებაში თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს, ახლობლებს, ნათესავებს.

სიახლეები „იმერმედში“

ეპილეფსია—მისი დიაგნოსტირება და მკურნალობა

ეპილეფსიის დღესთან დაკავშირებით, 13 თებერვლიდან 18 თებერვლის ჩათვლით, კლინიკა „იმერმედის“ ინიციატივით ტარდება ეპილეფსიის კვირეული. კვირეულის ფარგლებში მომსახურება იქნება 50%-იანი ფასდაკლებით.

საზოგადოებას გვინდა ვაუწყოთ, რომ თერჯოლის შპს „იმერმედში“—კლინიკაში, რომელიც ორიენტირებულია მუდმივ განვითარებასა და სიახლეების დანერგვაზე, შეიძინეს 2022 წელში დამზადებული, ულტრათანამედროვე იტალიური წარმოების „მიკრომედის“ ფირმის 22 განხრიანი ელექტროენცეფალოგრაფი, რის საშუალებითაც ხდება ეპილეფსიის დიაგნოსტირება და გამოვლენა. ამასთან, აღნიშნული კვლევის დიაპაზონი ფართოა და ინფორმატიულია არა მარტო ეპილეფსიების არამედ ტვინის ორგანული დაზიანების და ელექტრული აქტივობის შესასწავლად.

მოკლედ იმის შესახებ თუ რა არის ეპილეფსია.

ეპილეფსია ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებაა, როცა დარღვეულია თავის ტვინის ნერვული უჯრედების აქტივობა, რაც იწვევს გულყრას. გულყრის დროს ადამიანს შეცვლილი აქვს ქცევა—განიცდის უჩვეულო შეგრძნებებს, გონების დაკარგვის ჩათვლით. მსოფლიოში მოსახლეობის 1%-ს (65 მილიონი) აქვს ეპილეფსია, ეს დაავადება ისეთივე ძველია, როგორც კაცობრიობა, ამ სნეულებას „რჩეულთა დაავადებასაც“ უწოდებენ, რომლითაც ბევრი გამორჩეული ისტორიული პიროვნება გახლდათ დაავადებული, მაგ. იულიუს კეისარი, ნაპოლეონ მონაპარტე და ა.შ.

ეპილეფსია შეიძლება გმოვლინდეს ნებისმიერ ასაკში. თუმცა ასაკის მატებასთან ერთად გამოვლინების სიხშირე მატულობს, მეცნიერების დასკვნით 100 ადამიანიდან ერთს მაინც, თავის ცხოვრების მანძილზე შესაძლოა დაემართოს არაპროვოცირებული გულყრა, თუმცა ერთჯერადი გულყრა არ ნიშნავს ეპილეფსიას. ეპილეფსიის დიაგნოსტიკა ხდება ორი არაპროვოცირებული გულყრის შემთხვევაში ან ერთი არაპროვოცირებული გულყრის, რომლის განმეორების რისკი უტოლდება ორი გულყრის რისკს.

ვინაიდან ეპილეფსიურ გულყრას იწვევს თავის ტვინის უჯრედებში განვითარებული პათოლოგიური განმუხტვა, გულყრამ შეიძლება დაარღვიოს ნებიმისერი პროცესი, რომელსაც თავის ტვინი უწვეს კოორდინირებას. გულყრა შეიძლება გამოვლინდეს შემდეგი გარდამავალი (თვითშეჩერებადი) სიმპტომებით:

—კონფუზია (დეზორიენტაცია, დროსა და გარემოში).

—მეტყველების შეჩერება.

—არაკონტოლირებადი კრუნჩხვითი მოძრაობები ხელებსა და ფეხებში.

—ცნობიერების და სიფხიზლის დაკარგვა.

—ფსიქიკური სიმპტომები.

გულყრის კლასიფიცირებას ექიმი ახდენს იმის მიხედვით, თუ როგორ იწყება ტვინში პათოლოგიური აქტივობა (ფოკალური ანუ კეროვანი, თუ გენერალიზებული, რომელიც მოიცავს მთელ ტვინს).

ხშირ შემთხვევაში ეპილეფსიურ გულყრას წინ უსწრებს სხვადასხვა შეგრძნება ე.წ. „აურის“ სახით.

ეს შეიძლება იყოს: თვალებში ციმციმი, სიცხის და სიცივის შეგრძენა. დაწოლა გულმკერდზე, მხედველობითი შეგრძნებები—მაგ. ფერადი ბურთების მოძრაობა მხედველობის ველში, სხვადასხვა ვიზუალური ჰალუცინაცია, აურის შემდეგ შეიძლება განვთარდეს მარტივი ფოკალური გულყრა, ან გულყრა გახდეს გენერლიზებული.

ეპილეფსიის დიაგნოსტირებისა და გულყრების გამომწვევი მიზეზების დასადგენად უნდა ჩატარდეს რამდენიმე კვლევა, ნევროლოგიური გასინჯვა. ელექტროენცეფალოგრაფიული (ეეგ) კვლევა ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი კვლევა ეპილეფსიის დიაგნოსტირებისათვის. ამ კვლევის დროს ჟელესებრი ნივთიერებით თავის კანზე დამაგრებული ან ქუდში ჩამონტაჟებული ელექტროდების საშუალებით ხდება თავის ტვინის ბიოელექტრული აქტივობის ჩაწერა.

თუ პაციენტს აქვს ეპილეფსია, დიდი ალბათობით დარღვეული იქნება ღვინის უჯრედების ელექტრონული აქტივობა, რომლის გამოვლენა ხდება ელექტროენცეფალოგრაფდის გაშიფვრით, ასე გამოვლინდება დაავადება მაშინაც კი, როცა იმ მომენტში არ არის გულყრა. ზოგჯერ საჭირო ხდება ხანგრძლივი კვლევის ჩატარება, ღვიძილის და ძილის პერიოდის დროსაც.

საჭიროების შემთხვევაში პაციენტს შეიძლება ჩაუტარდეს ისეთი მაღალტექნოლოგიური კვლევა, როგორიცაა კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ რეზონანსული გამოსახვა (MRT), თუმცა ელექტროენცეფალოგრაფია (ეეგ) უმნიშვნელოვანესია ეპილეფსიის დიაგნოსტირების და შემდგომი სწორი მკურნალობისათვის.

ეპილეფსიის დაავადების დიაგნოსტიკისათვის საჭირო ამ უნიკალური ენცელოგრაფის შეძენით, თერჯოლის კლინიკაში გაჩნდა კარგი შესაძლებლობა, იმისათვის რომ ადამიანთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ეფექტურად ისარგებლოს ამ დაავადების კვლევისა და მკურნალობისათვის.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის სოციალური პროგრამები

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების 2023 წლის დახმარების პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 292301113)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები.

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრამდე.

3. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი: 460 000 (ოთხას სამოცი ათასი ლარი) ლარი. აქედან:

ა) საცხოვრებელი სახლები, რომლებიც საჭიროებს გადაუდებელ შეკეთებას, ასევე ხანძრის ან სტიქიის შედეგად დაზიანებული სახლები, დახმარების ბიუჯეტი განისაზღვროს 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარით.

ბ) მცირეფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობის ან/და შეძენის ბიუჯეტი განისაზღვროს 445 000 (ოთხას ორმოცდახუთი ათასი) ლარით.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის

ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია დაეხმაროს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მცხოვრებ მოქალაქეებს, რომელთა საცხოვრებელი სახლები საჭიროებენ გადაუდებელ შეკეთებას, დაზიანდა სტიქიის და ხანძრის შედეგად, ამასთანავე პროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მცირეფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობას ან/და შეძენას, რომელთა საცხოვრებელი სახლები დაზიანების მასშტაბის გამო ექვემდებარება დემონტაჟს.

მუხლი 3. პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

პროგრამის სრულყოფილად განხორციელება ხელს შეუწყობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სახლდაზიანებული მოქალაქეების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეთა კატეგორია:

1. პროგრამის პირველი მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის სარგებლობის უფლება აქვთ თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ან/და მცხოვრებ ყველაზე მძიმე ეკონომიკურ პირობებში მცხოვრებ სოციალურად გაჭირვებულ მოქალაქეებს, რომელთა საცხოვრებელი სახლი საჭიროებს გადაუდებელ შეკეთებას ან/და დაზიანებულია სტიქიის და ხანძრის შედეგად.

2. პროგრამის პირველი მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის სარგებლობის უფლება აქვთ, ყველაზე მძიმე ეკონომიურ პირობებში თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ან/და მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს, მათი საცხოვრებელი სახლი დაზიანების ხარისხის მიხედვით საცხოვრებლად უვარგისია და ექვემდებარება დემონტაჟს.

3. მოქალაქეს, რომელმაც უნდა ისარგებლოს პროგრამით არ უნდა გააჩნდეს სხვა საცხოვრებელი ფართი.

4. პროგრამით მოსარგებლე მოქალაქე (ოჯახი) დახმარებას მიიღებს ერთჯერადად.

მუხლი 5. პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეებისათვის გასაცემი ფინანსური დახმარების ოდენობა და მისი გაცემის პირობები:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის და საკრებულოს წევრის წერილობითი რეკომენდაცია;

გ) საცხოვრებელი სახლის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული ცნობა უძრავი ქონების (დაზიანებული საცხოვრებელი სახლი) ფლობის შესახებ;

დ) საჭიროების შემთხვევაში ანგარიშის ნომერი ბანკიდან.

ე) ცნობა საჯარო რეესტრიდან ქონებრივი მდგომარეობის შესახებ.

2. სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მცირე ფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობის ან/და საცხოვრებელი სახლის შეძენის შემთხვევაში განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა საცხოვრებლად უვარგისი სახლის დემონტაჟის შესახებ და სოციალურად დაუცველი მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში მითითებულ განცხადებას შეისწავლის თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი კომისია, რომელიც ამოწმებსმოქალაქის საცხოვრებელი სახლის მდგომარეობას, მოქალაქის ოჯახის სოციალურ პირობებს და ადგენს შესაბამის დასკვნას მოქალაქის განცხადების დაკმაყოფილების (რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს მოქალაქისათვის გასაწევი ფინანსური დახმარების ოდენობა) ან მოქალაქის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

4. კომისიის დასკვნა შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეცემა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურს, რომელიც კომისიის დასკვნის საფუძველზე ამზადებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტს მოქალაქისათვის ფინანსური დახმარების გაცემის შესახებ ან მოქალაქის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

5. მოქალაქეებს, რომელთა საცხოვრებელი სახლები მძიმე დაზიანების გამო და საჭიროებს გადაუდებელ შეკეთებას პროგრამის ფარგლებში მიეცემათ არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარის ოდენობის ფინანსური დახმარება წელიწადში ერთჯერადად.

6. სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის საცხოვრებელი სახლის შეძენა ან/და მცირეფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობა შესაძლებელია მუნიციპალიტეტის მერიამ კანონით დადგენილი წესით განახორციელოს 45 000 ლარის ფარგლებში.

7. ხანძრის ან სხვა სტიქიური მოვლენის შემთხვევაში კომისიის დასკვნის საფუძველზე, რომელიც შეაფასებს სტიქიური მოვლენის შედეგად მიღებულ ზარალს, პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეებს პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია მიეცეს არაუმეტეს 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობის ფინანსური დახმარება.

8. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური დახმარების 2023 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 29230116)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური დახმარების პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 1 იანვარი 2023 წელი – 31 დეკემბერი 2023 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 80 000 (ოთხმოცი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა: თვეში 250 (ორასა ორმოცდაათი) ლარი.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები:

დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სამედიცინო დაწესებულებაში გადაადგილების და მედიკამენტებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორიაა თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირები, რომლებიც პროგრამის ამოქმედების დროისათვის რეგისტრირებული არიან თერჯოლის მუნიციპალიტეტში და ამავდროულად სარგებლობენ დიალიზის სახელმწიფო პროგრამით.

მუხლი 4. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ცნობა (ფორმა 100) დიალიზის სახელმწიფო პროგრამით სარგებლობის შესახებ, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან.

გ) განმცხადებლის ანგარიშის ნომერი ბანკიდან.

მუხლი 5. მომსახურების დაფინანსების წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერიის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 29230114)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური მხარდაჭერის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 1 იანვარი 2023 წელი – 31 დეკემბერი 2023 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 45 000 (ორმოცთახუთი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა: თვეში – 60 (სამოცი) ლარი.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი და შედეგი:

პროგრამის მიზანს წარმოადგენს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთათვის კომუნალური გადასახადების გადახდაში ხელშეწყობა.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

ა) პროგრამით სარგებლობის უფლება აქვთ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მოქალაქეებს, რომლებიც პროგრამის ამოქმედების დროისათვის რეგისტრირებული არიან თერჯოლის მუნიციპალიტეტში და ამავდროულად არიან პირველი ჯგუფის უსინათლოები.

ბ) 18 წლამდე უსინათლო შშმ სტატუსის მქონე უსინათლო ბენეფიციარები.

მუხლი 4. სოციალური დახმარების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და წარდგენის წესი:

1. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ფორმა №IV-50/4 (კომისიის დასკვნა) პირველი ჯგუფის უსინათლობის შესახებ, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან.

გ) განმცხადებლის ანგარიშის ნომერი ბანკიდან.

დ) არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში ორივე მშობლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, არასრულწლოვნის რეგისტრაციის ბარათი და დაბადების მოწმობის ასლი.

მუხლი 5. დაფინანსების ოდენობა და დაფინანსების წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის სოციალური პროგრამები

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 29230113)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 1 იანვარი 2023 წელი – 31 დეკემბერი 2023 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 2 000 (ორი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა: თვეში – 70 ლარი.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები:

ერთჯერადი კვების ობიექტის ფუნქციონირების შეწყვეტის შედეგად აღრიცხვაზე მყოფი ბენეფიციარებისათვის ფინანსური მხარდაჭერა.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირები, რომლებიც სარგებლობდნენ ერთჯერადი კვების ობიექტით.

მუხლი 4. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

1. ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას, განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) განმცხადებლის ანგარიშის ნომერი ბანკიდან.

მუხლი 5. მომსახურების დაფინანსების ოდენობა და დაფინანსების წესი:

1. მერის შესაბამისი გადაწყვეტილების შესრულებაზე პასუხისმგებელია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 29230115)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 01 იანვარი 2023 წელი – 31 დეკემბერი 2023 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 32 000 (ოცდათორმეტი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა: 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულ ბენეფიციარის დახმარება თვეში - 120 (ასოცი) ლარი, ფენილკეტონურიით დაავადებული ბენეფიციარებისათვის თვეში 300 (სამასი) ლარი.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანს წარმოადგენს დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა ფინანსური მხარდაჭერა და ფენილკეტონურიით დაავადებულთა საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

მუხლი 3. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები:

პროგრამის განხორციელება დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობიდან გამომდინარე ხელს შეუწყობს ფენილკეტონურიით დაავადებულთა სპეციალური კვების პროდუქტების უზრუნველყოფას და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის ხელშეწყობას.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებული ბავშვები.

მუხლი 5. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ:

ა) განცხადება ერთ-ერთი მშობლის სახელზე.

ბ) ცნობა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან ფორმა 100/ა ან ცნობა შ.შ.მ პირთა შესახებ.

გ) განმცხადებლის (მშობლის, მეურვის) საბანკო ანგარიში.

დ) დაბადების მოწმობა, ორივე მშობლის პირადობის მოწმობის ასლი, ან არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი.

ე) სასამართლო გადაწყვეტილება მეურვის არსებობის შემთხვევაში.

ვ) სამკურნალო კვების შემთხვევაში, შესაბამისი დაწესებულებიდან კვების შესახებ ანგარიშფაქტურა.

მუხლი 6. დაფინანსების წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციართა სოციალური მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 29230117)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციართა სოციალური მხარდაჭერის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 1 იანვარი 2023 წელი – 31 დეკემბერი 2023 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა: პარკინსონით ან ეპილეფსიით დაავადებულ ერთ ბენეფიციარზე 150 (ასორმოცდაათი) ლარი, რომელიც გაიცემა ერთჯერადად.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი და შედეგი:

დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობიდან გამომდინარე, პროგრამის მიზანს წარმოადგენს ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციარების ყოველდღიური მოხმარების მედიკამენტების შეძენის მიზნით მხარდაჭერა.

მუხლი 3. პროგრამის მოსარგებლე პირთა კატეგორია:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებული პირები.

მუხლი 4. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას, განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ცნობა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან ფორმა 100/ა ან ცნობა შ.შ.მ პირთა შესახებ.

გ) განმცხადებლის საბანკო ანგარიში ბანკიდან.

დ) არასრულწლოვანის შემთხვევაში: დაბადების მოწმობა, ორივე მშობლის პირადობის მოწმობის ასლი, არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი და განცხადება ერთ-ერთი მშობლის სახელზე.

ე) შეზღუდული ქმედუნარიანი პირის შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილება მეურვის დანიშვნის შესახებ.

მუხლი 5. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 29230118)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით მხარდაჭერის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 01იანვარი 2023 წელი – 31 დეკემბერი 2023 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 70 000 (სამოცდაათი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

☞5

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის სოციალური პროგრამები

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამა

4 ☞

მუხლი 2. პროგრამის მიზანი:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით მხარდაჭერა

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახები.

მუხლი 4. საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

1. ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას, განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში გარდაცვალების მოწმობის ასლი.

დ) შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის წერილობითი რეკომენდაცია, რომელიმეს მიერ ამ უფლებამოსილების განუხორციელებლობის შემთხვევაში, რომელიც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით (საკმარისია ერთ-ერთის რეკომენდაცია).

მუხლი 5. საკვები პროდუქტების გაცემის წესი და ოდენობა:

1. ამ პროგრამით განსაზღვრულ ოჯახებს საკვები პროდუქტები მიეცემათ შემდეგი ოდენობით:

ა) უკიდურესად გაჭირვებულ და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფ ოჯახებს არაუმეტეს 150 ლარის ოდენობით ერთჯერადად, ხოლო სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციის საფუძველზე შესაძლებელია გაიცეს არაუმეტეს წელიწადში ორჯერ.

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს რეკომენდაციის მომზადების მიზნით მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი.

3.რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც გაცემს შესაბამისი ოდენობის ტალონს და ამზადებს მერის ბრძანებისპროექტს.

4. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 29230119)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 1 იანვარი 2023 წელი – 31 დეკემბერი 2023 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების მატერიალური დახმარების გაწევა.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორიაა ახალშობილთა ოჯახები (მშობლები), რომლებიც აკმაყოფილებენ ამ მუხლის მოთხოვნებს და განცხადების წარმოდგენის დროისათვის კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულნი არიან თერჯოლის მუნიციპალიტეტში, კერძოდ:

ა) ბავშვის მშობლები, რომლებიც განცხადების დაწერის დროისათვის რეგისტრირებულნი არიან თერჯოლის მუნიციპალიტეტში;

ბ) მარტოხელა მშობელი (დედა ან მამა), რომელიც განცხადების დაწერის დროისათვის რეგისტრირებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტში.

მუხლი 4. მუნიციპალიტეტში წარსადგენი დოკუმენტაცია, დახმარების ოდენობა:

1. ამ პროგრამით განსაზღვრულ ოჯახებს ფინანსური დახმარება მიეცემათ თითოეულ ახალშობილზე ერთჯერადად, შემდეგი ოდენობით:

ა) პირველ და მეორე ახალშობილზე 250 (ორასორმოცდაათი) ლარი;

ბ) მესამე ახალშობილზე 300 (სამასი) ლარი;

გ) მეოთხე 350 (სამასორმოცდაათი) ლარი;

დ) მეხუთე და ა.შ. ახალშობილზე 400 (ოთხასი) ლარი.

ე) ტყუპების შემთხვევაში 600 (ექვსასი) ლარი.

2. ახალშობილთა ოჯახებზე ფინანსური დახმარება გაიცემა განცხადების საფუძველზე, რომელსაც ერთ–ერთი მშობელი წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერიას ბავშვის დაბადებიდან არაუგვიანეს ერთი წლის ვადაში.

3. განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ბავშვის (ბავშვების) დაბადების მოწმობის ასლი;

ბ) მშობლების პირადობის მოწმობის ასლები;

გ) განმცხადებლის საბანკო ანგარიშის ნომერი.

მუხლი 5. ახალშობილთა ოჯახებზე ფინანსური დახმარების გაცემის წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერიის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურების 2023 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 292301110)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურეობის 2023 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 1 იანვარი 2023 წელი – 31 დეკემბერი 2023 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 3000 (სამი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურეობა (რომელსაც არ ჰყავს ან არ იძებნება პირდაპირი მემკვიდრე დედა, მამა, და / ძმა, მეუღლე, ბაბუა, ბებია, შვილი, გერი, შვილიშვილი).

მუხლი 3. პროგრამის მოსარგებლე კატეგორია:

პროგრამით სარგებლობის უფლება აქვს უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯის გამღებ მოქალაქეს.

მუხლი 4. საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას, განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) დაკრძალვის ხარჯის გამღების წერილობითი განცხადება.

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული რეკომენდაცია გარდაცვლილის უპატრონობის შესახებ.

დ) გარდაცვლილის მოწმობა ან ოქმი გარდაცვალების შესახებ.

ე) განმცხადებლის საბანკო ანგარიში ბანკიდან.

მუხლი 5. დაკრძალვის თანხის ოდენობა:

1. უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურება განისაზღვროს 700 (შვიდასი) ლარის ოდენობით.

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

3. გადაწყვეტილების შესრულებაზე პასუხისმგებელია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

4. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურეობის თანადაფინანსების 2023 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 292301111)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურეობის თანადაფინანსების 2023 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 01 იანვარი 2023 წელი – 31 დეკემბერი 2023 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 5000 (ხუთი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები:

პროგრამის სრულყოფილად განხორციელება ხელს შეუწყობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა რეაბილიტაციას.

მუხლი 3. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ოდენობა:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა რეაბილიტაცია დაფინანსდეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან წელიწადში არა უმეტეს 350 (სამასორმოცდაათი) ლარისა.

☞6

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის სოციალური პროგრამები

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურეობის თანადაფინანსების 2023 წლის პროგრამა

5☞

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

1. პროგრამით სარგებლობის უფლება აქვს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირს.

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი დოკუმენტაცია:

შშმ პირის მშობელი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენს განცხადებას, რომელსაც თან უნდა დაერთოს:

ა) მშობლების პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან არასრულწლოვნის რეგისტრაციის ბარათი, ასევე დაბადების მოწმობის ასლი;

ბ) ცნობა, პროგრამით სარგებლობის მსურველი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა N100).

გ) გასაწევი სამედიცინო მომსახურების ხარჯების მოცულობის განმსაზღვრელი დოკუმენტი (ინვოისი, კალკულაცია) შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან.

დ) შეთანხმება სამედიცინო დაწესებულებასა და პაციენტის წარმომადგენელს შორის (დავალიანების არსებობის შემთხვევაში)

ე) შ შ მ პირის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 6. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და ამზადებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტს.

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე, სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებელი თანხის ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით სამედიცინო დაწესებულების შესაბამის ანგარიშზე, რასაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მარტოხელა მშობლის სოციალური მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 292301112)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

ა. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სოციალური მხარდაჭერის პროგრამა.

ბ. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 01 იანვარი 2023 წელი – 31 დეკემბერი 2023 წელი.

გ. პროგრამის ბიუჯეტი: 20000 (ოცი ათასი) ლარი.

დ. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი.

ე. პროგრამის მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა: მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე ბენეფიციარზე 100 (ასი) ლარი ყოველთვიურად.

ვ. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება:

მარტოხელა მშობელი არის მარტოხელა დედის ან მარტოხელა მამის სტატუსის მქონე პირი.

მუხლი 3. პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები:

მარტოხელა დედების (მამების) სოციალური მდგომარეობის ფინანსური მხარდაჭერა.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირი, რომელსაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილი (რომელთა შემოსავლები ბოლო ერთი წლის განმავლობაში არ აღემატება 10 000 ლარს).

მუხლი 5. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია:

ა. განცხადება მერის სახელზე;

ბ. დახმარების მიმღები პირის პირადობის მოწმობის ასლი;

გ. ბავშვის დაბადების მოწმობა;

დ. მარტოხელა მშობლის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე. დახმარების მიმღები პირის პირადი ანგარიში.

ვ. ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბოლო ერთი წლის შემოსავლების შესახებ.

მუხლი 6. მარტოხელა მშობლის დაფინანსების მიღების წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ჩემი ბაბუა...

დიმიტრი აბესაძე

ჯერ კიდევ პატარა ასაკიდან მეშინოდა ამ დღის მოსვლის, არ ვიცოდი როგორი იქნებოდა ცხოვრება ამ დღის შემდგომ...

ვაი, რომ ეს დღეც დადგა, მთელმა ბავშვობამ თვალწინ წამებში გამიფრინა, ახლა ყველაფერი შავთეთრია, გარდა იმ მოგონებებისა, რაც მასთან ერთად გავატარე.

ჩემი ბაბუა გმირი იყო, თუ მკითხავთ შენი პირველი მასწავლებელი ვინ იყოო, გიპასუხებთ—ბაბუაჩემი-მეთქი. ბავშვობიდან ჩემს აღზრდა-განათლებას მიჰყო ხელი, სკოლის საგნების გარდა ცხოვრებას მასწავლიდა, მეც მასთან ერთად ლაღი და ბედნიერი ვიყავი.

ჩემი თოვლის ბაბუაც იყო, საშობაოდ ერთად ვმღეროდით: „თოვს, თოვს ხოშკაკლავს ბაბუა კი ღორს **დაკლავს,** გავაგზავნი ბიძიას და ჩამომიტანს ჩიჩიას“, მე თან დავაყოლებდი ბაბუა, იცოდე მოათოვლინე, შობას თოვლი უხდება-თქო და ისიც მშვიდად, ღიმილით მეტყოდა—ვეტყვი და მოთოვოსო. მეც მჯეროდა, რომ ბაბუაჩემს შეუძლებელი შეეძლო ჩემთვის.

თერჯოლაში ყოველი ჩემი ჩასვლა ბავშვობაში მაბრუნებდა და ბედნიერი ვსაუბროდი მასთან, მასაც ყოველი ჩემი წინგადადგმული ნაბიჯი უხაროდა. დრო გადიოდა, იგი ასაკში შედიოდა, მეტს ფიქრობდა და ცოტას საუბრობდა, მე ჯიუტად მეტი და მეტი მინდოდა, ის პატარავდებოდა და პატარავდებოდა, სანამ ერთ დღესაც საერთოდ არ მიილია, დამიტოვა სიცარიელე და თან წაიღო ჩემი უდარდელი ბავშვობა.

ჩემთვის ახლა ბნელა, გული მტკივა და სული მეწვის...

მაპატიე, რომ ბოლო გზაზე ვერ გაცილებ...

მაპატიე, რომ სოციალურ ქსელში შენზე ვსაუბრობ, ვიცი შენზე საუბარი არ გიყვარდა, მაგრამ ბაბუაჩემი გმირი იყო...

შევხვდებით იქ...

გოგონა აბესაძე

უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2023 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 292301114)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2023 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 1 იანვარი **2023 წელი – 31 დეკემბერი 2023 წელი.**

3. პროგრამის ბიუჯეტი: 20 000 (ოცი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა: თვეში – არაუმეტეს 200 (ორასი) ლარი.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უსახლკარო მოქალაქეების ბინის ქირით უზრუნველყოფა.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

ა) თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და ამავე დროს მცხოვრები უსახლკარო ოჯახები, რომლებსაც არ გააჩნიათ სხვა საცხოვრებელი ფართი და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000 -ს.

ბ) ძალადობის მსხვერპლი პირები, რომლებმაც ისარგებლეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვისსამინისტროსსისტემაშიარსებული მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლით (თავშესაფრით) და თავშესაფარში მოთავსების ვადის ამოწურვის შემდეგ იმყოფება საცხოვრებლის გარეშე.

მუხლი 4. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინონ:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) საცხოვრებელი ფართობის არქონის დამადასტურებელი დოკუმენტი, ცნობა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ.

დ) შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის წერილობითი რეკომენდაცია განმცხადებლის საცხოვრებელი ფართის არქონის შესახებ;

ე) ქირავნობის ხელშეკრულება 1 წლის ვადით.

ვ) განმცხადებლის საბანკო ანგარიში, გამქირავებლის პირადობის მოწმობის ასლი და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ქონების საკუთრების შესახებ.

ზ) შემაკავებელი ან დამცავი ორდერი ან/და მომხდარი ფაქტის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, სადაც მითითებულია მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში მოთავსება.

თ) ძალადობის მსხვერპლის თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში მოთავსების შემთხვევაში თავშესაფრით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ი) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან (მესამე მუხლის „ა” პუნქტით სარგებლობის შემთხვევაში).

მუხლი 5. დახმარების გაცემის წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის სამუშაო ჯგუფი.

2. სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

3. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ჩვენი მოჭიდავეების 2022 წლის ბოლო აკორდი

მკითხველს ვთავაზობთ სპორტსკოლის მთავარი სპეციალისტის ელგუჯა გოგბერაშვილის ინფორმაციას გასული წლის დეკემბერში ჩვენი მუნიციპალიტეტის მოჭიდავეების მოპოვებულ წარმატებათა ქრონოლოგიას:

3 დეკემბერი. ქ. კასპი, მუნიციპალიტეტის ღია ჩემპიონატი კარატეში. ნიკოლოზ გაბრიჭიძე II ადგილი, დათო ნიკოლაძე III ადგილი, ლუკა გაფრინდაშვილი III ადგილი.

4-6 დეკემბერი. ქ. თბილისი. მსოფლიო ჩემპიონის მიხეილ სალაძის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ნიკო გაფრინდაშვილი I ადგილი, გოგა მაჭარაშვილი III ადგილი.

9-10 დეკემბერი. ქ. ქუთაისი. ქალაქის ღია პირველობა ძიუდოში. გაბრიელ გურული II ადგილი, ნიკოლოზ რობაქიძე III ადგილი, გიორგი დევიძე III ადგილი.

10-11 დეკემბერი. ქ. ზუგდიდი. ღია ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში „კოლხეთის თასზე“. სანდრო ობოლაძე I ადგილი, საბა სულამანიძე II ადგილი, გიგა ზარნაძე III ადგილი, გიორგი ლომიტაშვილი III ადგილი.

გუნდები შეჯიბრებისათვის მოამზადეს მწვრთნელებმა: კახა მაკარიძემ, დიმიტრი გურგენიძემ, ირაკლი ღონღაძემ, ლერი რობაქიძემ, ზურაბ ჩაფიჩაძემ, ლერი ჯიხვაშვილმა, ლალი დიაკონიძემ.

9-11 დეკემბერი. ქ. თბილისი. საქართველოს პირველობა სპორტულ აკრობატიკაში.

გოგონათა ორეული (დიდების III თანრიგოსანთა შორის პირველი ადგილი დაიკავეს ირინა გეწაძემ და ანი ქოჩიაშვილმა.

ვაჟების ორეული—დიდების III თანრიგოსანთა შორის პირველი ადგილი ნიკა ბუცხრიკიძესა და ლუკა ტყავაძეს ხვდათ წილად.

გოგონათა სამეული დიდების მე-3 თანრიგოსანთა შორის—მესამე ადგილი ბარბარე მარუაშვილს ხვდა წილად.

იმედისმომცემი გამოსვლები ჰქონდათ და საპრიზო ადგილებიც დაიკავეს: მარიამ მოდებაძემ, ნია ექსეულიძემ, ლიზი ჭანკვეტაძემ, ანანო გაფრინდაშვილმა, ანასტასია ჩუბინიძემ, ბარბარე ზარნაძემ, ასევე ნორჩმა მონაწილეებმა მართა აბაშიძემ და გაბრიელ გეწაძემ.

თერჯოლელი მოსწავლე-მოჭადრაკეები ახალ წელს გამარჯვებებით იწყებენ

გთავაზობთ მწვრთნელის, ეროვნული ოსტატობის კანდიდატის მერი ჩაფიჩაძის ინფორმაციას.

3-13 იანვარს ქ. ქუთაისში ჩატარდა იმერეთის ღია საკვალიფიკაციო ტურნირი ჭადრაკში უთანრიგო, მე-5, მე-4 და მე-3 თანრიგოსან ჭაბუკთა და გოგონათა შორის. ტურნირის ორგანიზატორი გახლდათ იმერეთის მხარის ჭადრაკის ფედერაცია. ჩატარების ადგილი მაია ჩიბურდანიძის სახელობის საჭადრაკო სკოლა.

ტურნირი ჩატარდა შვეიცარიული სისტემით და მასში მონაწილეობა მიიღეს იმერეთის მუნიციპალიტეტისა და ქალაქების მოჭადრაკეებმა. 250 მონაწილეს შორის იყვნენ თერჯოლის სასპორტო სკოლის ჭადრაკის წრის მოსწავლეები.

თავიანთ კატეგორიებში პირველობა არავის დაუთმეს: **გაბრიელ გიორგაძემ** (თერჯოლის №1 საჯარო სკოლა) მე-5 თანრიგოსან ჭაბუკთა შორის მან მოიპოვა მე-4 თანრიგი. მე-5 თანრიგოსან გოგონათა შორის **ანა მაღლაკელიძემ** (თერჯოლის №1 საჯარო სკოლა) დაიკავა ასევე პირველი ადგილი და მოიპოვა მეოთხე თანრიგი.

უთანრიგო 8 წელს გადაცილებულ გოგონებში **ლანა სოფრომაძემ** (თერჯოლის №1 საჯარო სკოლა) ასევე დაიკავა პირველი ადგილი და მოიპოვა მე-5 თანრიგი.

გამარჯვებული მოჭადრაკეები იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა-საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ბატონმა ზაზა ლომინაძემ დააჯილდოვა და მომავალი წარმატებები უსურვა მათ.

საპრიზო ადგილების მიღმა დარჩნენ, მაგრამ საკმაოდ ნიჭიერ მოჭადრაკეებად წარმოადგინეს თავი **გეგა გაბრიჭიძემ** (თერჯოლის №2 საჯარო სკოლა), რომელმაც 7 შესაძლებლობიდან 5 ქულა დაიკავა (IV-VI ადგილი).

მეოთხე თანრიგოსან გოგონათა შორის კი **მარი მაღლაკელიძემ** (თერჯოლის №1 საჯარო სკოლა) 7 შესაძლებლობიდან დააგროვა 4 ქულა და V-VI ადგილი გაინაღდა.

ორივე მოჭადრაკემ შეასრულა მე-3 თანრიგის ერთი ნორმატივი. თავიანთ კატეგორიებში თითო ნორმატივი ასევე მოიპოვეს: **ლუკა სოფრომაძემ** და **გაბრიელ კლდიაშვილმა** (თერჯოლის №1 საჯარო სკოლა), **იოანე მაჭარაშვილმა** და **გაბრიელ გაბრიჭიძემ** (თერჯოლის №2 საჯარო სკოლა).

გაზეთ „თერჯოლა“ ულოცავს ნიჭიერ მოჭადრაკეებსა და ნიჭიერ მწვრთნელს მერი ჩაფიჩაძეს თვალსაჩინო წარმატებას. გვჯერა ის და მისი აღსაზრდელები კვლავაც გაგვახარებენ ახალი და ახალი გამარჯვებებით.

იმავე ტურნირზე მწვრთნელის გია ჭუმბურიძის აღსაზრდელი **გურამ ჩუბინიძე** მესამე თანრიგოსან ჭაბუკთა შორის ვიცე-ჩემპიონი გახდა (თერჯოლის №1 საჯარო სკოლა).

მეოთხე თანრიგოსან ჭაბუკთა შორის კი მესამე საპრიზო ადგილზე თერჯოლის №2 საჯარო სკოლის მოსწავლე **ნიკოლოზ ურიადმყოფელი** გავიდა.

ახალი წლის მისალოცი და მადლიერების წერილი ბატონ ზურაბ შევარდნაძეს

გულითადად გილოცავთ ახალ 2023 წელს. ბედნიერება და ახალი შემოქმედებითი წარმატებები გქონოდეთ.

თქვენი ძვირფასი შედევრი—წიგნის „მაი როის იქნება“ ჩუქებისა და „უსაშველო“ თბილი პატივისცემის გამოხატვისათვის დიდი მადლობა.

ჩვენი შეხვედრისა და საუბრიდან კარგა ხანი გავიდა.

როგორ დამიხსომეთ?

საოცარი შემოქმედი პიროვნება ბრძანდებით.

სურვილი მიჩნდება და „ყორფერს“ ვიღონებ, რომ მეც მქონდეს ჩემი პატარა „გარდენია“, „არ მეზარება და აფერი“... მარა „მაი როის იქნება“ არ ვიცი...

ბატონო ზურაბ, თქვენისთანა კაცები შვენიან ჩვენს საქართველოს, გიხაროდეთ.

ღრმა პატივისცემით და თქვენს მიმართ კეთილი შურით შეპყრობილი
გაზეთ „თერჯოლის“ ჟურნალისტი ნუბზარ გამყრელიძე

„მაი როის იქნება“

სწავლას რომ მოვრჩი და გერმანიიდან დავბრუნდი, სულის მოსათქმელად გურიაში წავედი. ყველა და ყველაფერი შინაური მონატრებული მქონდა, ბევრი „სამეურნეო აზრი“ მიტრიალებდა თავში, ძალიან მინდოდა, რაიმე ისეთი გამეკეთებინა ჩემიანებისთვის, იქაურობას რომ წაადგებოდა.

მოგროვდებოდნენ მეზობლები, ნათესავები და მეც მთელი გატაცებით ვუმხელდი ჩემს ნაოცნებარს:

მოით, აკაციის ტყეები გავაშენოთ, ძვირფასი მერქანი აქვს, ამდენი მიწა ტყუილად ცდება.

—გაჩერდი ერთი, ძამა, მაი როის იქნება?!

მოით, შევგუბოთ აი ღელე, ტყულა მითქრიალობს და გუუშუათ შით თევზი, გასაყიდად თუ არა, ჩვენდა მაინც გვექნება.

—დამეთხუე ერთი, თუ კაცი ხარ, მაი როის იქნება?!

სასწაული საწარმო ვნახე ბავარიაში, სოიოს გადამამუშავებელი, რა ყოფილა, თურმე, მოით, დავთესოთ, მევიწყოთ, კარგად მოდის ჩვენთან, ასე მახსოვს.

—რას ჩივი, თუ იცი შენ ბიჯო? მაი როის იქნება?!

მოით, კვატიების ფერმა გავაკეთოთ, ამდენი ჭონჭყოა, ბურდღა ბურდღად, კვერცხი კვერცხად და ხორცი ხორცად.

—რას ბუუტურობ და ჩივი, ნეტა თითონ თუ იცი, მაი როის იქნება?!

გვიმბრას მიაქ გურია, მოით მოვცელოთ, დავაკომპოსტოთ, სასწაული სასუქის გაკეთება შეიძლება, ასე მგონია.

—აბდრულია მაი, ნენა, მაი როის იქნება?!

ძველებური თათრულა ხაპი რომ მევიყვანოთ ბევრი, წაბლივით მშრალი, ყველა იყიდის, არ ვიცი კაცი, ვისაცა არ უყვარს და არ ირევა.

—აა კიდომ, აა, მაი როის იქნება?!

ჩვენებურ ადესას რომ ფელამუში გამოსდის, ტყულია, არცერთი არ შეედრება, მოით, აბდალა ღვინის კეთებას, ტკბილად შევინახოთ და გავყიდოთ დადუღებული ბადაგი, საფელამუშეთ.



—მაქფერი ჯერემ კაც არ უთქვამს, მაი როის იქნება?!

დღესაც ძალიან მინდა, ჰყვაოდეს ჩემი გურია, მოსავალიც იმდენი გვქონდეს, სხვაგან გაქცევა კი არა, აქით გვჭიროდეს სხვისი მოხმობა დასახმარებლად, მარაა, ეჰჰჰ, მაი, როის იქნება?!

„არ გეზარება და აფერი“

ყურებში მიდგას:

„მოარბენიე, ნენა, ცივი წყალი ჭიდან, არ გეზარება და აფერი...“

„არიქა, გიეკიდე, ბაბუა, ხბოებს, არ გეზარება და აფერი...“

„არიქა, ბებია, ქათმებია ჩასული ბახჩაში და გადმოდენე, არ გეზარება და აფერი...“

„გეიქეცი, მერდინი გამოართვი ეთერის. არ გეზარება და აფერი...“

„ჩემი ნენა თუ ხარ, გამეგზავნე დუდანასას, არ გეზარება და აფერი...“

„ბაბუა, სალესი ქვაი მომირბენიე, არ გეზარება და აფერი...“

„გოდორი დამებნა საცხა, მომაძებნიო ეგება, არ გეზარება და აფერი...“

მეზარებოდა კი არა, სული მძვრებოდა, ჭირის დღესავით მძაგდა ეს „არ გეზარება და აფერი“, მარა უარს რავა გავბედავდი, დავბზრიალობდი სულ. ასე იყო მიღებული და ასეთი იყო წესი. დიდს დიდი საქმე და საკეთებელი ჰქონდა და პატარას—პატარა.

რომელი ჯობდა, არ ვიცი, ალბათ, ის: „არ გეზარება და აფერი...“

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების თანამშრომლები თანაუგრძნობენ გაერთიანების მთავარ ბუღალტერს ნანული დევიძეს მეუღლის

გია (გიორგი) გვენეტაძის

გარდაცვალების გამო.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების თანამშრომლები თანაუგრძნობენ სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების მთავარ ბუღალტერს ნანული დევიძეს მეუღლის

გია (გიორგი) გვენეტაძის

გარდაცვალების გამო.

ეწრის საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ქეთინო უკლებას და ზაურ კუბლაშვილს მამისა და სიმამრის

ბიჭიკო უკლებას

გარდაცვალების გამო.

ზედა ალისუბნის საბავშვო ბაღის დირექტორი და ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბაღის თანამშრომელს ნინო არეშიძეს ბებიის

თამარ ალფაიძის

გარდაცვალების გამო.

ქ. თერჯოლის მე-3 საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნანული დევიძეს მეუღლის

გია გვენეტაძის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „თერჯოლის“ რედაქციის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ იამზე მემანიშვილს დედის

ციცინო კობახიძის

გარდაცვალების გამო.

თოჯინებმა ლამაზი სიყვარული იციან...

„როცა წელიწადი დასასრულს უახლოვდება ყოველთვის გადავხედავთ განვლილ წელს და ვახდენთ ფაქტებისა და მოვლენების გადაფასებას. ვიხსენებთ როდის იყო ყველაზე სამახსოვრო დღე, ყველაზე ბედნიერი წამი, ყველაზე ლამაზი კადრი, ყველაზე საინტერესო საზოგადოებრივი ურთიერთობები, ყველაზე თბილი ჩახუტება...

ბევრი რამის გახსენება შეიძლება, მაგრამ ყველაზე სასიამოვნო ისაა, როცა დამდეგი წელი დადებითი ემოციით იწყება და ყველაზე გულწრფელი სიყვარულით გილოცავენ წლის დასაწყისს. ეს უკვე დიდი სტიმულის მომცემია და დასამახსოვრებელი“... ამბობს ქალბატონი, რომელმაც ერთ-ერთი მშობლის საახალწლოდ მიწერილ მისალოცში ასეთი სიტყვები ამოიკითხა: „...ძალიან კარგად და სიყვარულით გახსენებენ ჩემი გოგონები, ძალიან მახარებს, რადგან ის ფაქტი, რომ საგნის მასწავლებელი ასე უყვართ დადებითად აისახება საგნის სიყვარულზეც. თქვენში გაგვიმართლა“...

თერჯოლის №2 საჯარო სკოლის ინგლისურის პედაგოგს თეა ტალახაძეს, 2022 წელს მართლაც ჰქონდა სხვა მნიშვნელოვანი დღეც, თუნდაც ის, როცა ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის ლაურეატის წოდებით დააჯილდოვეს...

დაიბადა და გაიზარდა თერჯოლაში. დედა ქალბატონი ლუარა მურადაშვილი №3 ბაგა-ბაღის მუსიკის მასწავლებლად მუშაობდა, იგი ყველაფერს აკეთებდა თეას უდარდელი ბავშვობა ჰქონოდა და კარგი განათლება მიეღო. თერჯოლის №1 საჯარო სკოლა და სამხატვრო-საგანმანათლებლო სკოლა, ერთდროულად დაამთავრა, შემდეგ იყო უმაღლესი სასწავლებელი, სადაც ორი ფაკულტეტი ასევე ერთდროულად დაამთავრა...

მერე მოვიდა კიდევ უფრო ულამაზესი და უბედნიერესი დღეები თეას ცხოვრებაში, სიყვარული, დაოჯახება, ჰქონდა შეძლებული ოჯახი, ჰყავდა მაღალი თანამდებობის პირი, საიმედო მეგობარი და მეუღლე, ერთად იზეიმეს პირველი ქალიშვილის დაბადება, მისი პირველი ღიმილი და პირველი ნაბიჯები...

ასე ლამაზად გრძელდებოდა ცხოვრება, მეორე შვილის მოლოდინში, ვიდრე ის საბედისწერო დღე დადგა...

ავტოკატასტროფამ შეიწირა მისი სრულიად ახალგაზრდა მეუღლის სიცოცხლე... ორი თვის შემდეგ მეორე შვილი შეეძინა... ეს ის დღეებია, როცა 2008 წლის აგვისტოს ომის საზარელი ხმა ასე ახლოს იყო ქართლის რაიონებში და მათ შორის ხაშურშიც, სადაც თეა თავის ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად თითქმის მარტოდ აღმოჩნდა...

სხვა გზა არ ჰქონდა, მიიღო გადაწყვეტილება თერჯოლაში, დედასთან დაბრუნებულიყო და 23 წლის ქალს 2 მცირეწლოვანი შვილით ცხოვრება, როგორც იტყვიან, ნულიდან დაეწყო; ვიდრე დედის ერთოთახიან ბინას საცხოვრებლად გამართავდნენ თვეების განმავლობაში დეიდასთან ცხოვრობდა.

იმ ლამაზი დღეების შემდეგ ადვილი არ იყო ცხოვრების გაგრძელება, თუმცა, იმის უფლებასაც ვერ მისცემდა თავს ფარხმალი დაეყარა და ცხოვრების ავბედით დინებას უბრძოლველად გაჰყოლოდა.

„მე და დედაჩემს ის ერთოთახიანი ბინაც გვეყოფოდა, ამბობს „თერჯოლასთან“ საუბარში თეა, მაგრამ შვილები... მათ ხომ უამრავი რამ სჭირდებოდა, შვილებს სიცივისათვის და შიმშილისათვის ვერ გაწირავდა, მათ საკუთარი ჭერიც ჭირდებოდა და დედის სიყვარულიც, სითბო და ღიმილიც...

როგორც იმედი ჰქონდა დედა დაუდგა გვერდით, დედას, რომელიც ძალიან კარგად ქსოვდა და ქარგავდა, თვითონაც ეხმარებოდა, რადგან ეს ხელსაქმე მათ ოჯახში ბებიადან ტრადიციულად მომდინარეობდა და თვითონაც, ჯერ კიდევ ბავშვობაში ჰქონდა შესწავლილი... ქსოვდნენ, ქარგავდნენ, ჰყიდდნენ და ამით ბავშვებს, მათ აუცილებელ საჭიროებებს უმკლავდებოდნენ. ასე გრძელდებოდა შემდეგაც, ვიდრე თეა სკოლაში მუშაობას დაიწყებდა, თუმცა მხოლოდ პედაგოგის მაშინდელი ხელფასით მაინც ვერაფერს გახდებოდნენ. დედა კვლავ ქსოვდა და ქარგავდა... თეა კი რიგ შემთხვევაში ბავშვებს ამეცადინებდა, რომ დამატებითი შემოსავალი ჰქონოდა.

კორონავირუსი რომ შემოიჭრა და ყველაფერი გაჩერდა, თეა კვლავ პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, მოსწავლეებს ვეღარ მიიღებდა, ოჯახის ოთხ წევრს კი რჩენა სჭირდებოდა... და აი, ისევ ხელსაქმე... ამჯერად თეამ თავი თოჯინების ქსოვაში გამოსცადა და კარგადაც გამოუვიდა. სამი წლის წინ აგრეთვე თექის წარმოებით დაინტერესდა... აღმოჩნდა, რომ ონში იყო თექის სახელოსნო „ედენა“, მიაკითხა და იქ ლილიანა მაისურაძის ხელმძღვანელობით თექის დამზადების პროცესი შეისწავლა, რასაც შემდეგ თეას შესრულებით მხატვრული თექის არაერთი ნამუშევარი მოჰყვა.

ძალიან გამოადგა სამხატვრო სკოლაში მიღებული ცოდნა, კარგად ახსოვს იქ გატარებული დრო და გაკვეთილები, შემდეგ იყო სადიპლომო ნამუშევარი „გელათი“... იმდროინდელი ნამუშევრებისთვის დიდი ალბომიც აქვს გაკეთებული, რომელიც ძალიან უყვარს...

როდესაც სამხატვრო სკოლაში ქალბატონმა თამარმა კურსდამთავრებულთა გამოფენა გააკეთა მათ შორის თეას ნაქარგებისა და ქსოვის ნიმუშები იყო. უფრო ადრე კი მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრმა გამართა ქალბატონების ხელნაკეთობათა გამოფენა, სადაც დედასთან ერთად მონაწილეობდა.

თეას ჭრელაჭრელა და ფერადმა ხელთნაკეთმა სათამაშოებმა და თოჯინებმა არაერთი ბავშვის მოხიბვლა და გახარება უკვე შეძლო, გარდა იმისა, რომ ისინი ლამაზი და საყვარლები არიან, მოსწონთ ბავშვებს თუ მოზრდილებსაც, იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ბავშვები ახლა ეკოლოგიურად სუფთა და მათი ჯანმრთელობისათვის უვნებელ სათამაშოებთან ატარებდნენ დროს...

თეა, როგორც ამბობს ყველაზე დიდ სიმშვიდეს და სიამოვნებას იღებს ხელსაქმით, თუმცა მუშაობას ბევრი დრო სჭირდება და ეს ძირითადად ღამის საათებში ხდება, დღისით კი, სკოლა, ბავშვებთან მუშაობა, მათ წინაშე პასუხისმგებლობა, დრო თითქმის არ რჩება...

აქტიურობა, შრომისმოყვარეობა, ბრძოლა თეას ყოველდღიურობაა, ცხოვრების სტიმული მისი საუკეთესო შვილებია მე-9 და მე-11 კლასელი მარიამი და ნინუცა, მათდამი ერთგულებამ და თავგანწირვამ შეუძლებელი შეაძლებინა... ახლა მას ყველაფერი აქვს, რომ ბედნიერი იყოს, იმედით უყუროს მომავალს, უხაროდეს ყოველი დღის გათენება, მიუხედავად, იმისა ყოველი დღე დიდი საზრუნავით იწყება. ახლა უკვე იცის, რასაც აკეთებს არის ერთგვარი გარანტი იმისა, ჰქონდეს გარკვეული შემოსავალი. თეა მიღწეულით არ კმაყოფილდება, ამჟამად მინანქრის შესწავლითაა დაკავებული, სურვილი აქვს სამკაულების გაკეთებაშიც მოსინჯოს თავისი შესაძლებლობა.

ადვილი არ არის მუდმივ რეჟიმში მუშაობა, პროდუქციის შექმნა. შემდეგ კი ქალაქიდან ქალაქში, გამოფენიდან გამოფენაზე, ხალხმრავალ ადგილებში გატანა, გაყიდვა. თუმცა, ამას ყველაფერს სიამოვნებით აკეთებს... მთელი ზაფხულის განმავლობაში ჰქონდა გასვლები ზღვისპირეთში: ბათუმში, ურეკში, ფოთში, ასევე ბახმაროში, ქუთაისსა და თბილისში. იყო ბაღდათობაზეც...

ლამაზი თოჯინები, ზღაპრების პერსონაჟები და არა მხოლოდ ისინი, მნახველებს მოსწონს, ბავშვები ბედნიერები არიან, როცა მშობლები მათ თეას თოჯინებს ჩუქნიან... თოჯინებმა კი ლამაზი სიყვარული იციან...

„თერჯოლას“ მკითხველმა უკვე იცის, რომ თეას გასულ წელს ფოლკლორის ეროვნულ ფესტივალზე ჰქონდა საშუალება თავისი ნამუშევრები გაეტანა, რამაც ფესტივალის ლაურეატობა მოუტანა... მისმა თოჯინებმა და საახალწლო აქსესუარებმა გაალამაზა წინასაახალწლო ტრადიციული ღონისძიების გამოფენა დავით კლდიაშვილის სკვერში...

თეას მიაჩნია, რომ წარმატებულია თავის საქმიანობაში და ასეცაა, რომ უფალი არ ტოვებს უაღრესად ღვთისმოსავს...

იხსენებს, ჯერ კიდევ პატარამ როგორ მოქარგა გარდამოხსნის ხატი მამა სპირიდონ (ცქიფურიშვილი) ლოცვა-კურთხევით. მას შემდეგ ჭაბუკთას ეკლესიაში ყოველწლიურად აღდგომის მარხვის ბოლო კვირის პარასკევს მოძღვარი გარდამოხსნის ხატს საკურთხევლიდან გამოაბრძანებს და ლოცავს ერსა და ბერს. აღდგომის დღის შუაღამეს ლიტურგიაზე კი ლიტანიობით ტაძარს გარს შემოუვლის მრევლი და ხატს ისევ საკურთხეველში დააბრძანებენ... ყოველწლიურად მრევლი მუხლმოდრეკილი უამრავ სავედრებელ ლოცვას აღავლენს მის წინაშე.

„წლები გავიდა მას შემდეგ, რაც ეს ხატი საკუთარი ხელით მოვაბრძანე ეკლესიაში, მასთან ერთად ჩემი სულის ნაწილიც იქ დავტოვე და ეს სულის ნაწილი ყოველთვის მახსენებდა იმას, რომ იმ დღიდან პასუხისმგებელი ვიყავი ყველა ჩემს საქციელსა თუ სიტყვაზე... მას მერე ბევრმა წყალმა განვლო, ბევრმა ქარიშხალმა გადამიარა, მაგრამ ამ ხატის მადლი არასოდეს მტოვებდა, თითქოს ეკლესიიდან მეძახდა და მამხნევებდა“—ამბობს თეა ტალახაძე და მომავალსაც სწორედ მისი მადლით გაჰყურებს იმედიანად...

მზია ცქიფურიშვილი

პატარების ზეიმზე...

სანახაობებით დატვირთული, მრავალფეროვანი და შთამბეჭდავი საახალწლო კარნავალი მოაწყვეს ზედა სიმონეთის საბავშვო ბაღში! პატარებმა პედაგოგებთან ერთად, ასევე მშობელთა ჩართულობით სხვადასხვა ზღაპრის პერსონაჟები გააცოცხლეს: ფიფქია, ყინულის დედოფალი, ფერია, კომბლე და სხვა მათი საყვარელი ზღაპრის გმირები.

აღსაზრდელებმა მხიარული სიმღერებით, ცეკვებით, განსაკუთრებული არტისტიზმითა და თეატრალური მანერებით მოგვაწონეს თავი, რაც აღმზრდელების ანა გიორგაძის და ფირუზი ქარქაშაძის, მუსიკის მასწავლებლის ნინო ღვინეფაძის, აღმზრდელის თანაშემწის ნაირა ბერუაშვილის, ფსიქოლოგ მზია რობაქიძის და ბაღის მთელი კოლექტივის დამსახურებაა. განსაკუთრებით სანტაკლაუსის გამოჩენამ გაახარა პატარები, რომელმაც ბავშვებს საჩუქრები დაურიგა და მათთან ერთად იმხიარულა.

დასასრულს განვლილი სასწავლო წელი მიმოიხილა და დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა ბაღის გამგებ ქალბატონმა მარინა ტოფაძემ.

მშვიდობის, სიხარულის, ბედნიერების, კეთილდღეობის და წარმატებების მომტანი ყოფილიყოს მათთვის 2023 წელი.

შორენა გვენეტაძე
მერის წარმომადგენლის ასისტენტი
ზედა სიმონეთის ადმინისტრაციულ ერთეულში.

შპს „თერჯოლა“
გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** 599 92 49 75
მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** 599 91 24 14
სარედაქციო კოლეგია
რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ
კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-ფოსტა: gazetiterjola@gmail.com
აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33
ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872